

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ქ. ვანი თავისუფლების N 65

10 იანვარი 2018 წელი

10³⁰ - საათი

კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კობა ტოხვაძე

სხდომას ესწრებოდნენ: კობა ტოხვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ტარიელ ბარამიძე, ივანე კორძაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, მერაბ ხურციძე.

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: თენგიზ დვალიშვილი, თამარ შენგელია.

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე.

დასწრების ფურცელი თან ერთვის /დანართი N1

სხდომა 10³⁰ სთ-ზე გახსნა კომისიის თავმჯდომარემ კობა ტოხვაძე, რომელმაც წარმოადგინა 2018 წლის 10 იანვრის სხდომის

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

მომხს: /გიორგი ივანიძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის კულტურის განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცება.

მომხს: / კობა ტოხვაძე/

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი

მომხრე - 6

წინააღმდეგი - არცერთი

დანართი: N2

დღის წესრიგის პირველ პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალი საკრებულოს რეგლამენტი შედგება 20 თავისგან და 149 მუხლისგან. ძირითადი ცვლილებებია:

საკრებულოს რიგითი სხდომა გაიმართება ყოველი თვის მეორე ოთხშაბათს, ნაცვლად ხუთშაბათისა. რეგლამენტიდან ამოღებულია სიტყვა გამგებელი და გამგეობა და შესაბამისად ჩასმულია მერი და მერია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს დაემატა ფუნქციები: საკრებულოს ბიუროს სხდომების მომზადების ორგანიზება, საკრებულოს აპარატის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა, საკრებულოს კომისიების მუშაობის, კომისიებისა და მერიის შესაბამისი სამსახურების, საკრებულოსა და მოსახლეობის ურთიერთობების ხელშეწყობა.

კომისიის მხრიდან შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული პროექტი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე - 6

წინააღმდეგი - არცერთი

დანართი: N3

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ბ.ნ კობა ტოხვაძემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცება:

კერძოდ;

იანვარი

კომისიის სამუშაო გეგმის დამტკიცება.

თებერვალი

1.ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ დირექტორის ანგარიში 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

2. ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანის“ დირექტორის ინფორმაცია 2018 წლის საფეხბურთო სეზონისთვის მზადების შესახებ.

მარტი

1. ვანის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ 2018 წელს კულტურის სფეროში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოხმენა.

2. ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.

კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს კომისიის თავმჯდომარის წარმოდგენილ კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმას, აღნიშნული საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მომხრე - 6
წინააღმდეგი - არცერთი
დანართი: N4

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე